



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 414
_ _ _

7 სექტემბერი
“ _ _ _ ” _ _ _ _ _ _ _ _ 2021 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის, თავდაცვის სამინისტროს ობიექტის, (ყოფილი დოსააფის) აღმოსავლეთით; ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფი“-ს შენობის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.17.14.003.787; №01.17.14.003.002; №01.17.14.003.790) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 26 აგვისტოს №21.1175.1309 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის, თავდაცვის სამინისტროს ობიექტის, (ყოფილი დოსააფის) აღმოსავლეთით; ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფი“-ს შენობის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.17.14.003.787; №01.17.14.003.002; №01.17.14.003.790) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01211893590-67 (№01212145-67; №01212213072-67; №01212251038-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 21.1175.1309
26 / აგვისტო / 2021 წ.

ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის, თავდაცვის სამინისტროს ობიექტის (ყოფილი დოსააფის) აღმოსავლეთით; ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფილი 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფის“ შენობის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.14.003.787; N01.17.14.003.002; N01.17.14.003.790) და მიმდებარე უფლებადაურევისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 8 ივლისს N01211893590-67 (N01212145-67; N01212213072-67; N01212251038-67) განცხადებით მიმართა მამია ჯაშმა (პ/ნ 01024005877) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის, თავდაცვის სამინისტროს ობიექტის (ყოფილი დოსააფის) აღმოსავლეთით; ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფილი 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფის“ შენობის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.14.003.787; N01.17.14.003.002; N01.17.14.003.790) და მიმდებარე უფლებადაურევისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის, თავდაცვის სამინისტროს ობიექტის (ყოფილი დოსააფის) აღმოსავლეთით; ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფილი 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფის“ შენობის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.14.003.787; N01.17.14.003.002; N01.17.14.003.790). რეგისტრირებული ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 18 071 კვ.მ-ს, ხოლო დაურევისტრირებელ ფართთან ერთად, დაახლოებით 18 254 კვ. მ-ს. საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთ მხრიდან ესაზღვრება საცხოვრებელი კომპლექსი „დირსი“, ხოლო სამხრეთით მდ. მტკვარი. საპროექტო არეალის ჩრდილოეთ ნაწილში ფიქსირდება შენობა-ნაგებობები, ხოლო სამხრეთ ნაწილი მთლიანად გაუნაშენიანებელია. სამშენებლო მოედანი წარმოადგენს სწორი რელიეფის მქონე არეალს. საპროექტო არეალის სამხრეთით ვრცელდება (თუმცა არ გადადის თავად საპროექტო არეალზე) მდ. მტკვრის უჯებირო ნაპირის შეზღუდვის არეალი.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), საცხოვრებელი ზონა (სზ), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით სარეგრეაციო ზონა 2 (რზ-2).

შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება ტერიტორიის საცხოვრებელი ფუნქციით განვითარება, სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსისა და ორი ერთსართულიანი შენობის (დახურული სპორტული დარბაზი და კომერციული ფუნქციის) მშენებლობა. ამასთან, საპროექტო არეალში შედის დაურევისტრირებელი ფართი და ხდება არსებული საკადასტრო ერთეულების გადაფარვის შედეგად წარმოქმნილი უზუსტობის დაკორექტირება.



საგარეო ტექნიკურ-ეკონომიკური მანევრებლები:

საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი: რეგისტრირებული ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 18 071 კვ.მ-ს, ხოლო დაურეგისტრირებელ ფართთან ერთად დაახლოებით 18 254 კვ.მ.

ნაკვეთი N1 - მიწის ფართობი: 10 000 კვ.მ

კ-1=0,3 (2 425 კვ.მ);

კ-2=2,5 (25 440 კვ.მ);

კ-3=0,3; (3 000 კვ.მ);

მთლიან ნაკვეთზე საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

საპროექტო შენობების რაოდენობა - 4 შენობა (2 მრავალბინიანი კორპუსი (12 სართ.), 1 ერთსართულიანი კომერციული და 1 ერთსართულიანი დახურული სპორტდარბაზი)

ნაკვეთი N2 - მიწის ფართობი: 8 254 კვ.მ

საცხოვრებელი ზონა 6-ის ფართობი (სზ-6) - 5 144 კვ.მ

სატრანსპორტო ზონა 1-ის ფართობი (ტზ-1) - 2 559 კვ.მ

სარეკრეაციო ზონა 1-ის ფართობი (რზ-1) - 441 კვ.მ

კ-1=0,5 (1 000 კვ.მ);

კ-2=2,5 (13 080 კვ. მ);

კ-3=0,3 (1 544 კვ.მ);

საპროექტო შენობების რაოდენობა - 1 შენობა (მრავალბინიანი კორპუსი 12 სართ.).

არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), საცხოვრებელი ზონა (სზ), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული

ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა საგალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 16 აგვისტოს N0121228700 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 19 აგვისტოს N01212311885 (N0121207740) წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის, ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის, თავდაცვის სამინისტროს ობიექტის (ყოფილი დოსააფის) აღმოსავლეთით; ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფილი 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფის“ შენობის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.14.003.787; N01.17.14.003.002; N01.17.14.003.790) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე,

N01211893590-67 (N01212145-67; N01212213072-67; N01212251038-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის, თავდაცვის სამინისტროს ობიექტის (ყოფილი დოსააფის) აღმოსავლეთით; ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფილი 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფის“ შენობის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.14.003.787; N01.17.14.003.002; N01.17.14.003.790) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 0121207740

თარიღი: 26/07/2021

პინი: 5955

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 8 ივლისის №01211893590-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.17.14.003.002, 01.17.14.003.790, 01.17.14.003.787 და მიმდებარე დაურეგისტრირებელი სივრცე; არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), საცხოვრებელი ზონა და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); საპროექტო ფუნქციური ზონირება: სზ-6, ტზ-1 და სარეკრეაციო ზონა 1; გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკა: სარეკრეაციო ზონა 2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **81 ძირი** (№3; №18; №22-24; №26-28; №29-41; №43; №45; №49; №51-55; №58-60; №63; №66; №74; №83-87; №91-108; №111; №113-120; №122-126; №138-146) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილვენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-ვენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-ვენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-ვენკროვანთა სახეობას და მხოლოდ 13 მათგანის დიამეტრი აღემატება 12 სანტიმეტრს, მათი მოჭრა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე გაცნობებთ, რომ სამსახური განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მსჯელობს მხოლოდ იმ მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ მდებარეობს სამშენებლო არეალში და ხელს უშლის პროექტის განხორციელებას. გამომდინარე იქიდან, რომ №01.17.14.003.787 საკადასტრო ერთეულზე მოსაჭრელად/გადასარგავად მოთხოვნილი **22 ძირი** (№4-10; №12; №42; №46-47; №50; №69-72; №109-110; №112; №121; №128-129) მწვანე ნარგავი არ მდებარეობს სამშენებლო არეალში, განმცხადებელმა, აღნიშნული მწვანე ნარგავების მოჭრის/გადარგვის ნებართვის მოსაპოვებლად სხვა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უნდა მიმართოს მწვანე ნარგავების ჭრის/გადარგვის ნებართვის გამცემ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს.

ასევე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **5 ძირი** (№15-17; №25; №44) ჯანსაღი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

დამატებით, №01.17.14.003.787 საკადასტრო ერთეულზე აღწერილი **2 ძირი** (№48; №127) დაფნის მოჭრის საკითხთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს „წითელი ნუსხის“ თანახმად, დაფნა განეკუთვნება წითელი ნუსხის სახეობას. დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აღნიშნული წესი არ ვრცელდება „საქართველოს წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მწვანე ნარგავების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე). შესაბამისად, აღნიშნული მწვანე ნარგავების მოჭრის საკითხთან დაკავშირებით განმცხადებელმა უნდა მიმართოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 2 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1¹ პუნქტისა და 21² მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული 2 ძირი (№1-2) მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთან გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (არსებული: 7 ძირი, გადასარგავი: 11 ძირი და საპროექტოდ დასარგავი: 44 ძირი იტალიური ფიჭვი, 108 ძირი ჰიმალაის კედარი, 48 ძირი მარადმწვანე მუხა, 45 ძირი კავკასიური ცაცხვი, 25 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 13 ძირი ევროპული მუხა, 8 ძირი ზეთის ხილი, 38 ძირი მჩხვლეტავი ნაძვი (ჯამში - 347 ერთეული) სრულად ითვისებს დადგენილი გამწვანების (კ 3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (6 197.4 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01212311885

თარიღი: 19/08/2021

პინი: 7011

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 13 აგვისტოს №01212251038-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.17.14.003.002, 01.17.14.003.790, 01.17.14.003.787 და მიმდებარე დაურეგისტრირებელი სივრცე; არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), საცხოვრებელი ზონა და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); საპროექტო ფუნქციური ზონირება: სზ-6, ტზ-1 და სარეკრეაციო ზონა 1; გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკა: სარეკრეაციო ზონა 2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამსახურმა დააფიქსირა პოზიცია, რომელიც გეცნობათ 2021 წლის 26 ივლისის №0121207740 წერილით.

ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

გთხოვთ, იხელმძღვანელოთ აღნიშნული პოზიციით.

დანართი: 2 გვერდი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული მტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 012110628
თარიღი: 16/04/2021
პინი: 0925

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2021 წლის 13 აპრილის N 01211034178-67 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით: 01.17.14.003.002; 01.17.14.003.790; 01.17.14.003.787.) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია, ავტობუსების გაჩერება 7-8 წუთის საფეხმავლო მანძილზეა, ამავე დროს, ახალი საავტობუსო ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია (ბერი გაბრიელ სალოის გამზირი) მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). ამასთან, განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და მესამეული საუბნო შემკრები საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს, გაჩნდება დამატებითი რეზერვები და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მოსაწესრიგებელია საქვეითე ინფრასტრუქტურა, თუმცა გაბრიელ სალოის გამზირზე ამ კუთხით პრობლემები არ გვხვდება. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორიასთან დამაკავშირებელი ძირითადი მიმდებარე გამტარი კვანძები ნაწილობრივ დატვირთულია, თუმცა საზ. ტრანსპორტის გაუმჯობესების შემდგომ მოსალოდნელია კვანძებზე არსებული რაიმე დატვირთულობის საგრძნობლად განმუხტვა. დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე განმცხადებელმა შესათანხმებლად უნდა წარმოადგინოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, რომლის შიდა გეგმარებაში (არსებობის შემთხვევაში) და საკადასტრო საზღვრის მიმდებარედ გათვალისწინებული იქნება **2.5 მეტრი სიგანის ტროტუარი**. სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საკადასტრო საზღვრის პერიმეტრზე ან/და შიდა გეგმარებაში სამანქანო გზის მოწყობის შემთხვევაში გასათვალისწინებელი ტროტუარებისგან დამოუკიდებლად ორმხრივი გზა შეადგენდეს **არანაკლებ 6 მეტრს**. ხოლო, ცალმხრივი გზა - **არანაკლებ 3.5 მეტრს**. აღნიშნული **გადამოწმდება და დაზუსტდება სქემის შეთანხმების ეტაპზე**.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 0121228700
თარიღი: 16/08/2021
პინი: 7742

გადაამოწმეთ. document.municipal.gov.ge

2021 წლის 9 აგვისტოს N 01212213072-67 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით: 01.17.14.003.002; 01.17.14.003.790; 01.17.14.003.787.) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტი და წარმოდგენილი სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2021 წლის 13 აპრილის N 01211034178-67 განცხადების პასუხად N 012110628 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო გვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: **61-01202694277**

თარიღი: **25/09/2020**

პინი: **6673**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სსიპ ქონების მართვის სააგენტომ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2020 წლის 03 ივლისის N67-012018557 წერილი, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან „დოსააფის“ შენობის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.17.14.003.002) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემისა და მიმდებარედ არსებული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი 01.17.14.003.787 და 01.17.14.003.790 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გრგ-ს არეალში შეყვანის საკითხს.


აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდი 01.17.14.003.787 და 01.17.14.003.790), შევიდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების არეალში, ტერიტორიის ნაწილის გამოყენება მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და საპროექტო გზებისთვის განკუთვნილ სივრცეს მიენიჭოს სატრანსპორტო ზონა 1-ის ფუნქცია.

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





արթուն

13

ընդհանուր քարտեզ

A37.750

Բնակավայր

— Կառուցված, համապատասխան
— Կառուցված, համապատասխան
— Կառուցված, համապատասխան
— Կառուցված, համապատասխան



գտնվում է

ՀՀ Կառավարության կողմից

10.001.001

ՀՀ Կառավարության կողմից

ՀՀ Կառավարության կողմից
ՀՀ Կառավարության կողմից
ՀՀ Կառավարության կողմից
ՀՀ Կառավարության կողմից

ՀՀ Կառավարության կողմից

ՀՀ Կառավարության կողմից

ՀՀ Կառավարության կողմից

ՀՀ Կառավարության կողմից

ՀՀ Կառավարության կողմից

ՀՀ Կառավարության կողմից

ՀՀ Կառավարության կողմից

ՀՀ Կառավարության կողմից


ՀՀ Կառավարության կողմից

ՀՀ Կառավարության կողմից

ՀՀ Կառավարության կողմից

ՀՀ Կառավարության կողմից



ՀՀ Կառավարության կողմից




საქართველოს
საგარეო საზღვრების
სამართლებრივი
სამსახური
საგარეო საზღვრების
სამართლებრივი
სამსახური
საგარეო საზღვრების
სამართლებრივი
სამსახური

დადგენილი
საგარეო საზღვრების
სამართლებრივი
სამსახური
საგარეო საზღვრების
სამართლებრივი
სამსახური
საგარეო საზღვრების
სამართლებრივი
სამსახური

მიწის ნაკვეთის პირობითი ნომერი/ საკადასტრო	ნაკვეთის ფართობი	კონკრეტული ფუნქციური ზონა	გამოყენების სახეობა	გამომცემის სახეობა	კ1	კ2	კ3
A1	10000	სუ-6 (10 000 კვ.მ)	მრავალბინიანი სახსოვრებელი სახლი (B და C შენობა) / მაღალბინიანი სახლი (D შენობა) / სპორტული დაზოგადი (E შენობა)	კომუნალური და საინჟინრო ტექნიკური ობიექტი	0,3 (2425 კვ.მ)	2,5 (25440 კვ.მ)	0,3 (3000 კვ.მ)
A2	8254	სუ-6 (5144 კვ.მ)	მრავალბინიანი სახსოვრებელი სახლი (A შენობა)	კომუნალური და საინჟინრო ტექნიკური ობიექტი	0,5 (1000 კვ.მ)	2,5 (13 080 კვ.მ)	0,3 (1544 კვ.მ)
		ტუ-1 (2669 კვ.მ)	საავტომობილო გზა	-	-	-	0,1 (267 კვ.მ)
		ტუ-1 (441 კვ.მ)	სკვერი	-	-	-	0,8 (353 კვ.მ)

[illegible]



მიწის ნაკვეთის პირიპირი ნომერი/ საკადასტრო	ნაკვეთის ფართობი	კონკრეტული ფუნქციური ზონა	შემოსის მაქსიმალური საერთო შემოსი	შენიშვნა	ფართობი
A1	10000	სფ-6 (10 000 კვ.მ)	1 სრული სართული (D, E შემოსი) / 12 სრული სართული (B, C შემოსი)	5-2 / 0,4 (D, E შემოსი) / 41= 16,4 / 0,4 (B, C შემოსი)	13080
A2	8254	სფ-6 (5144 კვ.მ)	12 სრული სართული (A შემოსი)	41= 6,4 / 0,4 (A შემოსი)	11610
		ტფ-1 (2669 კვ.მ)	-	-	250
		ტფ-1 (441 კვ.მ)	-	-	125

შემოსის კატეგორია	შემოსის ფუნქცია	შემოსის საერთო შემოსი	შემოსის საერთო შემოსი
A	შენიშვნა	12 სრული სართული	41 შემოსი
B	შენიშვნა	12 სრული სართული	41 შემოსი
C	შენიშვნა	12 სრული სართული	41 შემოსი
D	შენიშვნა	12 სრული სართული	41 შემოსი
E	შენიშვნა	12 სრული სართული	41 შემოსი

[illegible]

၂၀၁၈ ခုနှစ် ဇူလိုင်လ ၁ ရက်နေ့
 မန္တလေးတိုင်းဒေသကြီး
 မြန်မာနိုင်ငံတော်

[illegible]

ნახების დასახელება
C.Z.L.F.Z 4 შერბინა-ნახებობის
მავლით/გადაღებული ზომის/ფორმის აქ/და
საჩუქრის/საჩუქრის დასახელება

urban

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ԲՆԱԳՈՐԾԱՎԱԾՈՒԹՅԱՆ ՄԻՋՈՑԱՆՈՒՆԵՐԻ
ԴԱՏԱՎՈՐՈՒԹՅԱՆ ԱԶԳԱՅԻՆ ԿԵՆՏՐՈՆԸ

տնօրենություն, 2021 წლის 30 ივნისი



საპროცედურო შეკობა A და C არ მდებარეობენ ერთ მიწის ნაკვეთზე შესაბამისად არ არის წარმოდგენილი ერთმანეთს შორის (მიმართ) წარმოსახვითი შეჯახა და სიმაღლის სწევმა

ცმრჩოლში მითითებულ საჩუქრულიანობაში იგულისხმება მიწისზედა საჩუქრულების რაოდენობა, შენობების მითითებულ საჩუქრულიანობაში არ შედის სახურავზე ახასხულებული კიბის უკრეფლის და ლიფტის შებენის სათაფლი.

[illegible]

შენიშნავს, რომ უკვე არსებობს მსგავსი პროექტები, მაგრამ არაა დაგეგმილი მათი განხორციელება.

განაშენების რეკონსტრუქციის წითელ ნახს შენობებში გახდეს საინჟინრო ნაგებობის ფუნქციონირებისთვის საჭირო ნაგებობა (მ.გ. ტრანსფორმატორი)

შესაძლებელია, არქიტექტურის სამსახურთან მუთანხმების შედეგად, ზრგ-ს ცვლილებების გარეშე 1 კლასის მცირე არქიტექტურა ობიექტების მიწყოლა;

განაცხადების რეკლამირების წითელ ზუზუნს შესაძლებელია გახედოს მფრთის შემდეგი ნაწილები: * შინობის მოპირკეთების ელემენტები * შვირე დეკორატიული ელემენტები (კერძოთა, საპრდილობელი და სხვა) * ტერასები და აივნები.

A2 მიწის ნაკვეთზე ავტოსადგომების განთავსება მოიხდეს სრულად მიწისქვეშ ცნობილი მითითებულია ჯამური ავტოსადგომების რაოდენობა, მიწისქვეშ ავტოსადგომების განლაგება დადგინდება დებულებების პროექტის შეთანხმების

გრაფ. ს. შიჩხუბისთვის უკრძაკლური ჯვმარება ამბავს ზოგად სურათს, რომელიც

A1 მირი ნაკვეთის ნაკვეთისთვის მიწისზედა ავტოსადგომების შექმნად, რაოდენობა განისაზღვროს 68 ერთეული, ხოლო მიწაზე ავტოსადგომები განისაზღვროს 99 ერთეული (X-აშმა 167)

Җыл	Җи	Җд
Җылдагы Җилдә	1000	11000
Җылдагы Җилдә	1100	13445
Җылдагы Җилдә	950	1620
Җылдагы Җилдә	250	250
Җылдагы Җилдә	125	225

შენიშვნა კომპიუტერული ფორმით	შენიშვნა ფორმით	შენიშვნა საბუღალტრო საქმიანობაზე	შენიშვნა საბუღალტრო საქმიანობაზე
A	მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე	12 მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე	41 მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე
B	მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე	12 მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე	41 მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე
C	მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე	12 მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე	41 მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე
D	მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე	12 მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე	41 მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე
E	მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე	12 მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე	41 მზავლებლობის საბუღალტრო საქმიანობაზე

[illegible]

അടവ്

[illegible]

00405121381

.....

.....

(b) 17.14.003.619

1. *Staphylococcus aureus*

000000

සමස්ත ප්‍රතිචාරය

CZU 178.8.005


செய்துள்ளார்கள்.

တစ်ခုလုံး၊

urban

8

11

[illegible][illegible]



